



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ი. ჟორდანიას სახელობისა, სპეციალიზებული სამედიცინური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რ-იც იკვლევს ადამიანის რეპროდუქციულ ფუნქციასთან დაკავშირებულ ყველა თეორ. და პრაქტ. პრობლემას.

დაარსდა 1958 წლის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელწოდებით. ინსტიტუტი 1963 მიენიჭა ი. ჟორდანიას სახელი. 1972 ეწოდა ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1988 – ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2014-იდან – შპს „ჟორდანიას სახ. რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი“.

პროფ. ი. ჟორდანიას ხელმძღვანელობით საქართველოში საფუძვლად ჩაეყარა უნაყოფობის პრობლემის გადაჭრის გზების ძიება; შემუშავდა ტაქტიკურ-სტრატეგიული გეგმა, დაისახა უშვილობასთან ბრძოლის სამოქმედო პროგრამა, რ-ის ძირითადი მიზანია საქართველოში მოსახლეობის გამრავლება. მოცემულ ასპექტში გამოიკვეთა მამაკაცის უშვილობის პრობლემა, ბრძოლა ხელოვნურ აბორტთან, დაგვიანებულ ქორწინებასთან და სხვ.

1984-იდან ინსტიტუტის ხელმძღვანელობს პროფ. ა. ხომასურიძე, რ-ის ძალისხმევით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი დისციპლინა – რეპროდუქტოლოგია. საქართველოში პირველად ჩატარდა in vitro განაყოფიერება, ლაპაროსკოპიული კვლევა, დაინერგა კონტრაცეპცია, სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის სკრინინგი, მედიკამენტური აბორტი, მიფეპრისტონით უმტკივნეულო მშობიარობა და სხვ. ინოვაციები. 1988 ინსტიტუტი გახდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრი შობადობის

რეგულაციის საკითხებში.

ამჟამად, ინ-ტს აქვს 14 კაბინეტი: ქალის და მამაკაცის რეპროდუქციის, ანდროლოგიის, სექსოლოგიის, უროლოგიის, მამოლოგიის, ბავშვთა და მოზარდთა რეპროდუქტოლოგიის, საერთო ენდოკრინოლოგიის, in vitro განაყოფიერების, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის, კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის (ჰორმონული, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური გამოკვლევები) და ტექნ. სამსახური.

ინ-ტში სწავლობენ მოსახლეობის დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ პრობლემებს, შობადობის რეგულაციის საკითხებს, საშვილოსნოს მიღების პათოლოგიით და ენდოკრინული გენებით გამონვეულ უშვილობას, ანდროლოგიის პრობლემებს და სხვ. ინ-ტი პერიოდულად აქვეყნებს შრომათა კრებულებს, ატარებს რესპ. და საერთაშ. კონფერენციებს, სიმპოზიუმებს.

**ა. ხომასურიძე**

---